განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 3-4 აგვისტო, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 1 სექტემბერი, 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული 23.06.2021, N 620652

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	თორნიკე ხოშტარია, სასწავლო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ქავთარაძე, შპს - ,,ფოკუს სტუდიო", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა ჩიხრაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილია ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება", რომელიც ხორციელდებოდა 4 წლის განმავლობაში 2018 წლიდან აკრედიტაციის რეჟიმში, ხოლო 2021 წლის 23 ივნისიდან ავტორიზაციის რეჟიმში.

საბაკალვრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია. სასწავლო კომპონენტებიდან 147 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის ძირითად/სავალდებულო კურსებს, მათ შორის წარმოდგენილია 6-6 ECTS კრედიტის მოცულობით პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი. 53 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს, მათ შორის ზოგადი, მარკეტინგის, მენეჯმეტის, ფინანსებისა და ეკონომიკის მიმართულებებით. 10 ECTS კრედიტი თავისუფალ კომპონენტებზე მოდის, რომელიც შეიძლება არჩეულ იქნას უნივერსიტეტის ან პარტნიორი უნივერსიტეტის ნებისმიერი მოქმედი საბაკალავრო პროგრამიდან.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, საიდანაც 13 ადგილობრივი აკადემიური პერსონალია, რომელთაგან აფილირებულია 6, ხოლო 1 არის უცხოელი. ამასთან, სასწავლო პროცესში ჩართულია 14 მოწვეული პერსონალი, მათ შორის - უცხოელი.

პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხადდებოდა მიღება, ხოლო უკანასკნელ ორ წელში მიღებული სტუდენტების რაოდენობამ გადააჭარბა გამოცხადებული ადგილების რაოდენობას. გაიზარდა ჩარიცხულ უცხოელ პირთა რაოდენობა. პროგრამას მხოლოდ 1 კურსდამთავრებული ჰყავს. ამასთან, კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი 2021 წლისთვის არის ფრიადი (100%).

პროგრამა გადამუშავდა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოყვანილია ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროსების კლასიფიკატორთან" (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი);

აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებული და პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტის საფუძველზე მიმდინარე წლის 3-4 აგვისტოს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია სააკრედიტაციო მასალების შესახებ, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა. ნაწილი გამოთხოვილი იქნა ადგილზე ვიზიტის დროს. მათ შორის:

- ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის მიხედვით მთლიანი დატვირთვა;
- პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის;
- აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დაგროვებული ქულების შესახებ;
- საბაკალავრო ნაშრომები 3-3- სხვადასხვა შეფასების;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შევსებული თვითშეფასება;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების თვითშეფასებები;
- სტუდენტების კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სამიზნე ნიშნულები სამივე პროგრამისთვის;
- ანალოგი პროგრამების ანალიზი და შეფასება;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (საბაკალავროს შემთხვევაში);
- სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობა;
- ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესის" განახლებული ვერსია;
- სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

ვიზიტი დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია -1.1, 2.1, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.2, 5.3 ქვესტანდარტები, მეტწილ შესაბამისობაშია - 1.2, 2.2, 2.3, 5.1 ქვესტანდარტები.

- **რეკომენდაციები**
    - გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობის რუკა.
    - რეკომენდებულია მოხდეს მესამე შედეგთან მიმართებით მიზნების და შედეგების ბმა პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებში მწვანე ეკონომიკის საკითხების სწავლების გაძლიერებას.
    - მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში წინაპირობების ნაწილში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები: „ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს“ მოეხსნას წინაპირობა; „ლიდერობას“, ნაცვლად „მენეჯმენტის პრინციპებისა“, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „ადამიანური რესურსების მართვა“; „მენეჯერულ აღრიცხვას“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს ,,ფინანსური აღრიცხვა“; „საერთაშორისო ეკონომიკა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებს“ წინაპირობად განესაზღვროს ,,საერთაშორისო ბიზნესი“.
    - სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დამუშავდეს და შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსები „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და ,,ციფრული ბიზნესი“.
    - გადამუშავდეს სასწავლო კურსები ,,შესავალი ფინანსებში“ და ,,რისკების მენეჯმენტი“.
    - რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, რათა პროგრამის კურიკულუმის მონიტორინგის მიზნით შემუშავდეს მაქსიმალურად ზუსტი კურიკულუმის რუკა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
    - სასურველია, პროგრამის ბენჩმარკის დოკუმენტში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი პროგრამებს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.
    - სასურველია, უსდ-მ თავისუფალი არჩევითი კრედიტების ფარგლებში მოახდინოს ქართული ენის სასწავლო კურსის შეთავაზება უცხოელი სტუდენტებისათვის.

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა პროგრამის განხორციელებისათვის დამატებითი აფილირებული აკადემიური პერსონალის დაქირავების / მიღების მიმართულებით.
- სასურველია, პროგრამის აკადემიურმა გუნდმა კურიკულუმის რუკის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მასში უტილიზირებულ ფასეულობებთან. ამომდინარე აქედან, პროგრამულ მიზნებში გაწერილია თუ რა ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს გადასცემს პროგრამის კურსდამთავრებულს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანებია: • *განავითაროს პერსონალი თეორიული ცოდნით ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ისე ფუნქციონალურ ასპექტებში, როგორებიცაა: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ამ ცოდნის თანამედროვე სამყაროს ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უნარით.* • *აღჭურვოს კურსდამთავრებულები უნარით, შეაფასონ თავიანთი როლი ორგანიზაციის პროექტებსა და პროცესებში, რათა ზედამხედველობის ქვეშ დაგეგმონ და ეფექტურად განახორციელონ ყველა დავალება.* • *ხელი შეუწყოს სამეწარმეო აზროვნების ჩამოყალიბებას, ბიზნეს პროცესებში ეთიკური ქცევის მნიშვნელობის ხაზგასმით, მიაწოდოს საჭირო ცოდნა სტარტაპის შექმნის, მართვისა და მისი განვითარების მხარდაჭერისათვის.* • *განუვითაროს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკული უნარები, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს მკაფიოდ მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია როგორც წერილობით, ასევე ზეპირად სხვადასხვა ჯგუფებს ორგანიზაციის შიგნით და გარეთ.* პროგრამაში გათვალისწინებულია ბაზრის კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა უნივერსიტეტის მიერ. ასევე, დამსაქმებლების მხრიდან გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლინდა დამსაქმებლებთან არა ერთ გზის შეხვედრების და იდეათა გაცვლის შედეგად. აღსანიშნავია, რომ განხორციელდა პროგრამის ბენჩმარკინგი. თუმცა დამატებით გამოთხოვნილი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სეუ-ს საბაკალავრო და სასექსის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების ბენჩმარკს, არ არის სრულყოფილი.

კერძოდ, დოკუმენტი არ ასახავს სასწავლო კურსების სრულ ჩამონათვალს და განსხვავებული საკრედიტო სისტემის დეტალიზაციას.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხზე. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო სტუდენტურ კონპერენციებში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები უცხოურ უნივერსიტეტებთან, რაც ითვალისწინებს სტუდენტების და პერსონალის გაცვლით, როგორც ბილატერალურ ასევე, ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროგრამებს. ასევე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამაში უცხოელი განმახორციელებლების ჩართულობას.

ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, როგორც ადგილობრივ ასევე, საერთაშორისო დონეზე.
პროგრამა ხელმისაწვდომია ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებ-გვერდზე (იხ. ბმული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მისია;
- ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ვეგვერდი https://www.seu.edu.ge/ka/1796/
- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის ანალიზი.
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები (დანართი 8);
- კონფერენციის პროგრამა (დანართი 5).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

- სასურველია, პროგრამის ბენჩმარკის დოკუმენტში უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი პროგრამებს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ცხრა სწავლის შედეგის მიღწევას:

- *განსაზღვრავს ბიზნესის (ფინანსები, მენეჯმენტი და მარკეტინგი) ძირითადი ფუნქციონალური სფეროების მნიშვნელობას და მათ როლს კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისათვის.*
- *აღწერს და განმარტავს ადგილობრივი და გლობალური ბიზნეს გარემოს ეკონომიკურ, იურიდიულ, კულტურულ და ეთიკურ მრავალფეროვნებას.*
- *განმარტავს მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და მნიშვნელობას და მის დანერგვას ბიზნესის მდგრადი განვითარების პროცესში საერთაშორისო ბიზნეს ტენდენციების გათვალისწინებით.*
- *აანალიზებს ბიზნესის ფორმებს, ორგანიზაციის ტიპებს და სტარტაპ სტრატეგიებს, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს ბიზნეს იდეას გარემო ცვალებად პირობებთან.*
- *ირჩევს მათემატიკურ და სტატისტიკურ ინსტრუმენტებს არსებული ამოცანების გადასაჭრელად, ამოიცნობს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და ახდენს მის მიერ შემოთავაზებული ქმედებების კომუნიკაციას.*
- *სწავლობს მოცემულ პრობლემას და აყალიბებს მკაფიო პოზიციას ან აზრს მოცემულ დავალებაზე და წარმოადგენს ზეპირად ან წერილობით.*
- *აფასებს საკუთარ ცოდნას და უნარებს, რათა განსაზღვროს მომავალი სასწავლო საჭიროებები.*
- *ითვალისწინებს ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და აკადემიური პატიოსნების მნიშვნელობას ინფორმაციის შეგროვებისა და მისი ანალიზისა და დასკვნებისათვის ეფექტური მიდგომების შერჩევისათვის.*

- *ერგება გუნდს, როგორც პროდუქტიული წევრი, განიხილავს საკუთარ იდეებს, ითვალისწინებს სხვების მოსაზრებებს და აქტიურად მონაწილეობს გუნდისსამუშაო პროცესში.*

სწავლის შედეგებიდან ჩანს თუ რა ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას შეიძენს სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონეს.

სწავლის შედეგები არის მეტწილად მიღწევადი, რაც მხარდაჭერილია შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში გაწერილი პროცედურებითა და ინსტრუმენტებით. პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა წარმოდგენილია პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილი შედეგების რუკაზე. თუმცა, ბუნდოვანია მე-3 სწავლის შედეგის მიღწევადობა. კერძოდ, პროგრამით არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსი „მწვანე ეკონომიკა“ (თუმცა, მაკროეკონომიკის სასწავლო კურსში აღნიშნულ საკითხს ერთი თემა ეთმობა). მიუხედავად იმისა, რომ ერთი თემის ფარგლებში შესაძლებელია მწვანე ეკონომიკის პრინციპების გაგება, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შეუძლებელია მისი დანერგვა ბიზნესის მდგრადი განვითარების პროცესში (იხ. 2.2. ქვესტანდარტი).

ასევე, გარკვეული უზუსტობები ფიქსირდება ძირითადი სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების ბადესთან მიმართებაში. მაგალითად, მე-8 სწავლის შედეგი მიიღწევა შემდეგი სასწავლო კურსებით როგორიცაა მაგ. საინფორმაციო ტექნოლოგიები და არა სასწავლო კურსით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კურიკულუმის რუკაში მეტ-ნაკლებად შეინიშნება სწავლის შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების „მექანიკური მონიშვნის/შესაბამისობის“ ტენდენცია. მაგ., პროგრამის მესამე სწავლის შედეგზე - „განმარტავს მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და მნიშვნელობას და მის დანერგვას ბიზნესის მდგრადი განვითარების პროცესში საერთაშორისო ბიზნეს ტენდენციების გათვალისწინებით.“ - კურიკულუმის რუკის მიხედვით გადის შემდეგი სასწავლო კურსები: „მაკროეკონომიკის პრინციპები“, „მენეჯმენტის პრინციპები“, „ბიზნეს ოპერაციები 1/2“, „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, „ლიდერობა“, „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე გადასახედია მათი შესაბამისობის საკითხი ზემოაღნიშნული სწავლის შედეგთან. ასევე, მე-7 სწავლის შედეგზე „აფასებს საკუთარ ცოდნას და უნარებს, რათა განსაზღვროს მომავალი სასწავლო საჭიროებები.“ გადის 18 სასწავლო კურსი.

პროგრამის დანართებში წარმოდგენილია დასაქმების ბაზრის კვლევა. ასევე, დამსაქმებლებთან ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარების პროცესში და აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობდნენ. კარგად იცნობდნენ პროგრამის მიზნებს და შედეგებს. ასევე, აღნიშნეს რომ უნივერსიტეტის მხრიდან მათ მიერ გაცემული ბევრი რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. აკადემიური და მოწვეულ პესრონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა დაადასტურა მათი მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში. გარდა ამისა

მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი კარგად იცნობდნენ პროგრამის შედეგებს და მათ ფორმირებაში მონაწილეობდნენ. სწავლის შედეგების შეფასება ხდება რეგულარულად, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. საბაკალავრო პროგრამას თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისად შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულები. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ კურიკულუმის რუკა; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; ○ ძირითადი სასწავლო კურსების და პროგრამის შედეგების შესაბამისობის რუკა.
რეკომენდაციები: ○ გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობის რუკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე. უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებს, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა აგრეთვე ხდება მობილობის წესით. უნივერსიტეტს დადგენილი აქვს უცხო ენაში (ინგლისური) მისაღები გამოცდის ჩაბარების წესი. ასევე, ენის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია უცხო ენის B2 დონეზე ფლობის

დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით: ○ CambridgeEnglishFirst(FCE), ○ BECVantage, ○ IELTS 5-6.5, ○ TOEFLiBT 87-109, ○ MichiganECCE, ○ PTE GeneralLevel.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.seu.edu.ge/ka/1404/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის №854 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“-ის შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

კრედიტები განაწილებულია შემდეგი პრინციპით:

- **ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 147 კრედიტი**
  მათ შორის:
  საწარმოო პრაქტიკა – 6 კრედიტი;
  საბაკალავრო პროექტი – 6 კრედიტი;
- **ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 53 კრედიტი;**
- **თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;**
- **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი**

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, კომპლექსურობა და მოცულობა მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. თუმცა, პროგრამის სტრუქტურაც და ზოგიერთ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებიც მოითხოვს გადახედვას.

კერძოდ, „ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები“ არ საჭიროებს დაშვების წინაპირობას, მათ შორის არც სასწავლო კურსს „შესავალი ფინანსებში“.

სასწავლო კურსს - „ლიდერობა“, ნაცვლად „მენეჯმენტის პრინციპებისა“, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს „ადამიანური რესურსების მართვა“, რომელსაც თავის მხრივ დაშვების წინაპირობად სწორად აქვს განსაზღვრული „მენეჯმენტის პრინციპები“.

„მენეჯერული აღრიცხვაზე“ დაშვების წინაპირობად, ნაცვლად „შესავალი ფინანსებში“ და „ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა “, უნდა იყოს „ფინანსური აღრიცხვა“.

„საერთაშორისო ეკონომიკა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებს“ დაშვების წინაპირობად, ნაცვლად „შესავალი ფინანსებში“, უნდა ჰქონდეს „საერთაშორისო ბიზნესი“.

„სადაზღვევო საქმის საფუძვლებს“, „საბანკო საქმის საფუძვლებს“ და „საგადასახადო საქმის პრინციპებს“ დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს ,,შესავალი ფინანსებში“,

რაც გამართლებულია, თუმცა იმ შინაარსით, როგორც წარმოდგენილია სასწავლო კურსი „შესავალი ფინანსებში“, იგი არც ერთი ამ საგნის წინაპირობას არ წარმოადგენს. შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოითხოვს გადამუშავებას (იხ. ქვესტანდარტი 2.3). პროგრამის პირველი მიზანი ,,განავითაროს პერსონალი თეორიული ცოდნით ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ისე ფუნქციონალურ ასპექტებში, როგორებიცაა: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ამ ცოდნის თანამედროვე სამყაროს ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უნარით“ თავის თავში უნდა მოიცავდეს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის მართვის ცოდნას. სილაბუსების თემატიკიდანაც ირკვევა, რომ სათანადოდ არ არის გამახვილებული ყურადღება ამ კონტექსტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამაში სავალდემულო კომპონენტების სახით დასამატებელია „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გაძლიერებული Excel-ისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის (Access) სწავლებით) და ,,ციფრული ბიზნესის“ სასწავლო კურსები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული საგნების სავალდებულო წესით სწავლება შეიძლება მოხერხდეს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების გადახედვის ხარჯზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი სტუდენტების მხრიდან ინტერვიუს დროს დაფიქსირდა ქართული ენის სწავლების საჭიროება. სასურველია, უსდ-მ თავისუფალი არჩევითი კრედიტების ფარგლებში მოახდინოს ქართული ენის სასწავლო კურსის შეთავაზება უცხოელი სტუდენტებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის №854 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში წინაპირობების ნაწილში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები: „ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს“ მოეხსნას წინაპირობა; „ლიდერობას“, ნაცვლად „მენეჯმენტის პრინციპებისა“, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „ადამიანური რესურსების მართვა“; „მენეჯერულ აღრიცხვას“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს ,,ფინანსური აღრიცხვა“; „საერთაშორისო ეკონომიკა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებს“ წინაპირობად განესაზღვროს ,,საერთაშორისო ბიზნესი“. ○ რეკომენდებულია მოხდეს მესამე შედეგთან მიმართებით მიზნების და შედეგების

ბმა პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებში მწვანე ეკონომიკის საკითხების სწავლების გაძლიერებას.

- სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დამუშავდეს და შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსები „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და ,,ციფრული ბიზნესი“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ თავისუფალი არჩევითი კრედიტების ფარგლებში მოახდინოს ქართული ენის სასწავლო კურსის შეთავაზება უცხოელი სტუდენტებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად 5 და 6 კრედიტიანია, თუმცა გარკვეული სასწავლო კურსები არის 4 კრედიტიანი. სასწავლო პრაქტიკა მოიცავს 6 კრედიტს, საბაკალავრო ნაშრომიც მოიცავს 6 კრედიტს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსების შინაარსს. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. სასწავლო კურსების სილაბუსებით

გათვალისწინებული სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა ძირითადად იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა გვხვდება მცირედი გამონაკლისებიც, რაც აღწერილია 2.2. ქვესტანდარტში მესამე შედეგთან დაკავშირებით. გადასამუშავებელია სასწავლო კურსი „რისკების მენეჯმენტი“. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური რისკების მართვის საკითხებიც, მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია შესაბამისი სახელმძღვანელო Hull, John C. (2015), Risk Management and Financial Institutions (4th edition), Pearson, რომელიც სწორედ ფინანსური რისკების მართვის საკითხებზე აკეთებს აქცენტებს, თემატიკა არ მოიცავს ფინანსური რისკების მართვის საკითხებს. ასევე, გადასამუშავებელია სასწავლო კურსი ,,შესავალი ფინანსებში“, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ აღნიშნულმა სასწავლო კურსმა შეასრულოს სხვა სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული წინაპირობის ფუნქცია. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე მასალები ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისუენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია; ○ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ○ გადამუშავდეს სასწავლო კურსები ,,შესავალი ფინანსებში“ და ,,რისკების მენეჯმენტი“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუს“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ პრაქტიკა დამსაქმებლებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. პრაქტიკა არის 6 კრედიტიანი, როგორც სწავლების სავალდებულო კომპონენტი, რომელიც საბოლოოდ აერთიანებს იმ ცოდნას, რომელსაც სტუდენტი ეუფლება თეორიული კურსების გავლის პერიოდში და წინაპირობად უდევს საბაკალავრო ნაშრომს. თვითშეფასების ჯგუფისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუების სესიებით დასტურდება, რომ პროგრამას ჰყავს პერსპექტიული დამსაქმებლები, რომლებიც მზად არიან გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისათვის როგორც პრაქტიკული საქმიანობის, ისე კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, ამისათვის უნივერსიტეტის ბაზაზე აღნიშნული პროგრამისთვის სპეციალურად შეიქმნა ,,ბიზნეს ლაბორატორია“, რომელიც ხელს უწყობს ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას, როგორიც არის გუნდური მუშაობა, სტარტაპ სიმულაციები, და შესაბამისი კვლევის წარმოება. სტუდენტის კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, ასევე ემსახურება საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, რომელიც 6 კრედიტიანია და არის სავალდებულო სასწავლო-კვლევითი კომპონენტი. სტუდენტი, მის მიერ არჩეული საკვლევი თემის ირგვლივ იძიებს სამეცნიერო ლიტერატურას, ატარებს ბაზისურ კვლევას, ამუშავებს და წერს ნაშრომს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. შესრულებულ ნაშრომს აფორმებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მისი გამოყენებით ამზადებს პრეზენტაციას და წარადგენს სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე. ბაზისურ ცოდნას კვლევის ჩატარების შესახებ სტუდენტი ეუფლება „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის შედეგად, რომელიც პრაქტიკასთან ერთად, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობას წარმოადგენს. საბაკალავრო ნაშრომზე სტუდენტი მუშაობს წინასწარ განსაზღვრული

გეგმისა და ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებული ვადების შესაბამისად. უნივერსიტეტი, ასევე, ხელს უწყობს სტუდენტების კურიკულუმის მიღმა კვლევით მუშაობასაც, რაც დასტურდება სეუ-ს მიერ ორგანიზებული სტუდენტური კონფერენციებით, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, წარმოადგინონ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები ფართო საზოგადოების წინაშე. საუნივერსიტეტო კონფერენციები სულ მცირე, სემესტრში ერთხელ იმართება, სადაც სტუდენტთა დიდი ნაწილი იღებს მონაწილეობას. კვლევითი საქმიანობა ასევე ხელშეწყობილია პროგრამის ბიუჯეტის დონეზე. ასევე, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო გრანტის მიღების პირობები ითვალისწინებს კვლევით აქტივობაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ: კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და პროფესორებთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ კონფერენციების და ტრეინინგების ანგარიში; ○ ინტერვიუ: კარიერის განვითარების ცენტრთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდები. სასწავლო კურსებში მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული სწავლება-სწავლის მეთოდებია გამოყენებული, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის თანამედროვე ცოდნის მიცემას და საჭირო უნარების გამომუშავებას.

პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიზნესის ადმისნიტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში), რომლებიც შეესაბამება სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს.

შერჩეული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთლიანობაში პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისუენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სასწავლო კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რაც ასახულია როგორც საბაკალავრო პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში -

A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მათთვის სილაბუსები ხელმისაწვდომია აკადემიური რეგისტრაციის დროს, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge. ამასთან, კურსის დასაწყისში, პირველ ლექციაზე, შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი სტუდენტებს აცნობს შეფასების სისტემას. კურსის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია შეფასებებს თვალი ადევნოს მართვის ელექტრონული სისტემიდან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. ამდენად, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, ობიექტური და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.

საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები გაწერილია ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“, რომელიც დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია სეუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - seu.edu.ge. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შეფასება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახმარებით. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საჩივარს პირველ ეტაპზე განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი სხვა ლექტორთან ერთად. ხოლო პირველადი აპელაციის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი განიხილება რექტორის ბრძანების საფუძელზე შემდგარი კომისიის მიერ. სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი იცნობენ გასაჩივრების მოქმედ პროცედურას. სეუ-ს შემუშავებული აქვს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს. ნაშრომები მოწმდება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობაზე Turnitin-ის პროგრამის საშუალებით, შემდგომ კი საჯარო დაცვისთვის წარედგინება კომისიას. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები გამოკითხვის საშუალებით დაწესებულებას აწვდიან უკუკავშირს შეფასების მეთოდების რელევანტურობასა და გამჭვირვალობაზე, ასევე ლექტორის მიერ განხორციელებული შეფასების ობიექტურობაზე. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ უსდ ითვალისწინებს მათგან მიღებულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუ მოწმობს, რომ შემფასებლების უნარების განვითარებისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით ტარდება ტრენინგები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები. ამდენად, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ამ სფეროში განვითარებისათვის დაწესებულებისაგან იღებს საკმარის მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; ○ ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია“; ○ ,,აკადემიური მოსწრების ანალიზი 2020-2021 სასწავლო წელი“; ○ ,,სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი 2020-2021 გაზაფხულის სემესტრი“; ○ ,,ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება“; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - emis.seu.edu.ge; ○ სეუ-ს ვებგვერდი - seu.edu.ge;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას აქვს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის აუცილებელი მექანიზმები.

სტუდენტები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - emis.seu.edu.ge - საშუალებით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობაზე. ამავე პლატფორმის გამოყენებით სტუდენტებთ მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების, საერთაშორისო შესაძლებლობების, კონფერენციებისა და უნივერსიტეტში განხორციელებული სხვა აქტივობების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდში გამოცდების ჩასაბარებლად აირჩიოს მისთვის სასურველი რეგიონი და დრო.

სტუდენტებთან ინტევრიუს შედეგად დასტურდება, რომ ისინი იღებენ დროულ და ეფექტურ კონსულტაციას როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისაგან. სტუდენტებსა და პერსონალს შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით emis-ის სისტემაში ფუნქციონირებს ე.წ. ,,ცხელი Zoom", რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ონლაინ რეჟიმში ჰქონდეთ კომუნიკაცია ადმინისტრაციულ პერსონალთან და მიიღონ სწრაფი რეაგირება მათთვის საინტერესო საკითხებზე.

აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათები აისახება emis-ის ბაზაში. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად შეუთანხმდნენ პერსონალს საკონსულტაციო დროზე. აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისათვის სტუდენტები ასევე იყენებენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას, ელ. ფოსტასა და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებს.

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტები იღებენ საკმარის მხარდაჭერას პერსონალისაგან - ყოველკვირეულად ხვდებიან ნაშრომის ხელმძღვანელს, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება დამატებითი შეხვედრებიც, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტები იღებენ შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს ხელმძღვანელისაგან.

სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ხშირად აქვთ შეხვედრები როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე ფაკულტეტის დეკანთან. შეხვედრები მიზნად ისახავს სტუდენტთა მოსაზრებებისა და საჭიროებების გაცნობას. ინტერვიუს შედეგები და შესწავლილი დოკუმენტაცია ადასტურებს დაწესებულების მიერ სტუდენტთა მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების ფაქტს. მაგალითად, სტუდენტების სურვილის შესაბამისად, მოეწყო დამატებითი სივრცე ბიბლიოთეკაში, დაემატა სასწავლო კურსები მარკეტინგის მიმართულებით და სხვ.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებისა და პროექტების, ასევე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მსგავს შესაძლებლობებზე ინფორმაციას იღებენ emis-ის სისტემის, ელ. ფოსტის, სეუ-ს ვებგვერდისა და Facebook გვერდის საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე

დასტურდება, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში. მათ დანტერესებას ზრდის ის ფაქტორიც, რომ კონფერენციაში მონაწილეობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია შემდგომ სტიპენდიის მოპოვებისათვის. დაწესებულება ცდილობს სხვადასხვა საშუალებით ხელი შეუწყოს სტუდენტთა კვლევით პროექტებში მონაწილეობას, ამ მიზნით განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო საგრანტო პროექტებში სტუდენტთა სავალდებულოდ ჩართვის დაწესება. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, სეუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბებიც, მაგალითად, ბიზნეს კლუბი, რომელიც ორგანიზებას უწევს კონფერენციებს, საჯარო ლექციებსა და სხვადასხვა ღონისძიებას. დაწესებულება აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რასაც ადასტურებს როგორც პროგრამით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა არსებობა, ასევე ადგილობრივი სტუდენტების მიერ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის ფაქტებიც. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ხორციელდება კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმებისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობების შექმნას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (emis), ელ.ფოსტისა და სეუ-ს ვებგვერდის დახმარებით. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებას დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის ეწყობა დასაქმების ფორუმები, შეხვედრები დამსაქმებლებთან, ტრენინგები CV-სა და სამოტივაციო წერილის დაწერასა და დასაქმებისათვის საჭირო სხვა უნარებზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სეუ, ასევე, საშუალებას აძლევს სტუდენტებს სტაჟირება გაიარონ დაწესებულების სხვადასხვა დეპარტამენტში, სამომავლო დასაქმების პერსპექტივით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პრაქტიკის ხელშეკრულებები და მემორანდუმები; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ ,,სტუდენტთა კმაყოფილების ინსტიტუციონალური შეფასება, 2020“ ○ ,,სტუდენტთა პრაქტიკის კურსით კმაყოფილების კვლევა (2020-2021 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი)“; ○ ,,სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევა, 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრი“; ○ ,,დისტანციური სწავლების გამოცდილების კვლევა - სტუდენტები, 2020“; ○ ,,პრაქტიკის დღიურები“ ○ განხორცილებული კონფერენციების დღის წესრიგი; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - emis.seu.edu.ge; ○ სეუ-ს ვებგვერდი - seu.edu.ge;

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის იმპლემენტაცის ახდენს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 27 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: აქედან, 13 არის აკადემიური და 14 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგნაირად: 2 პროპესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი. აქედან, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი უნივერსიტეტთან არის აფილირებული. პროგრამის ძირითად კურსებს ახორციელებს 9 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი.
უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი საკონკურსო პირობების მიხედვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის კოეფიციენტია 0.92. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან დაისვა კითხვა, თუ რას გეგმავდა

უნივერსიტეტი აღნიშნული თანაფარდობის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუებით გაირკვა, რომ უნივერსიტეტი აპირებს ვაკანტური ადგილების გამოცხადებას აკადემიური პროზიციების დასაკავებლად.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნიათ სწავლა/სწავლების, აკადემიური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და პირისპირ ინტერვიუებით. მათი ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს არა მარტო აკადემიურ, არამედ სფეროში საქმიანობის პრაქტიკულ გამოცდილებასაც.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი (უცხოელი) რომელთაც გააჩნიათ შესაბამი კვალიფიკაცია და გამოცდილება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, მას აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება და ასევე ბიზნესის მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება. ხოლო, პროგრამის თანახელმძღვანელი არის უცხოეული მოწვეული პერსონალი, რომელიც არის მრავალი სამეცნიერო სტატიისა და წიგნის ავტორი, ასევე გამოცდილება აქვს კომპანიების კონსულტირებაში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებში. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის როგორც შემუშავების, ისე განხორციელების პროცესში.

დაწესებულებაში გაწერილია აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების, წახალისების ან შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და გულისხმობს როგორც პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ასევე კვლევითი აქტივობის, პროგრამის განვითარებაში ჩართულობის, პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლების ურთიერთშეჯერებას. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV;
- აკადემიური/მოწვეული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;

○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა პროგრამის განხორციელებისათვის დამატებითი აფილირებული აკადემიური პერსონალის დაქირავების / მიღების მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციების შეფასებას და მათი აკადემიური მუშაობის შედეგების ანალიზს, რისთვისაც უნივერსიტეტში შექმნილია აკადემიური პერსონალის შეფასების დოკუმენტი. შეფასება ხორციელდება როგორც სტუდენტებში ე.წ. კმაყოფილების კვლევებით, ასევე პროფესორების სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობით, და მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიებით. შეფასების სისტემა განასხვავებს პერსონალის კატეგორიებს: აფილირებული, მოწვეული და აკადემიური პერსონალის სახით, რადგან უნივერსიტეტის შიდა საკადრო პოლიტიკიდან გამომდინარე თითოეული კატეგორიისთვის შემუშავებულია ცალკეული შედეგობრივი გეგმა, რომელზეც უნდა გავიდეს თითოეული თანამშრომელი. ამიტომ, უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების

სისტემა ყურადღებას ამახვილებს პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეზე და მათ შეფარდებით წონებზე, პერსონალის კატეგორიის მიხედვით:

<u>აფილირებული პერსპონალი:</u>

- აკადემიური საქმიანობა (50%)
- კვლევითი საქმიანობა (30%)
- ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილი (15%)
- საზოგადოებრივი საქმიანობა (5%)

<u>აკადემიური პერსონალი:</u>

- აკადემიური საქმიანობა (75 %)
- ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილი (15%)
- საზოგადოებრივი საქმიანობა (10%)

<u>მოწვეული პერსონალი:</u>

- აკადემიური საქმიანობა (85%)
- ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილი (15%)

პერსონალის კატეგორიის მიხედვით თითოეული კომპონენტი ცალკე ფასდება, მაგ: აკადემიური საქმიანობის შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები არის შემდეგი: სტუდენტის კმაყოფილების კვლევა სემესტრის ბოლოს, სტუდენტთა მოსწრება და მათ მიერ შეტანილი წვლილი პროგრამის განვითარებაში; კვლევითი საქმიანობის შემთხვევაში, ფასდება როგორც ლექტორების მიერ განხორციელებული კვლევების რაოდენობა, ასევე მათი ხარისხი; ორგანიზაციულ განვითარებაში შეტანილი წვლილის მთავარი კრიტერიუმი არის პერსონალის როლი პროგრამის შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფაში. ასევე ცალკე ფასდება პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორც პერსონალის მიერ სტუდენტების ჩართვის დონე უნივერსიტეტის აქტივობებში და პერსონალის ჩართულობა დამსაქმებლებსა და შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან ურთიერთობების განვითარებაში. პერსონალის საბოლოო შეფასებაში კონკრეტული დასაქმებულის მიმართ გამოიყოფა 4 სახის შედეგი: შესანიშნავი, კარგი, განვითარებადი და არადამაკმაყოფილებელი. პროგრამის პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ შესანიშნავი შედეგის მქონე მოწვეული/აკადემიური პერსონალისთვის სეუ-ს აქვს მატერიუალური გადაწყვეტილება პერსონალის წახალისების შესახებ.

აღნიშნული სქემის მიხედვით აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება სემესტრულად. ხარისხის სამსახურის/ადამიანური რესურსების განყოფილებების მიერ ყოველი სემესტრის დასაწყისში, პერსონალისადმი მოლოდინები და შეფასების კრიტერიუმები ეცნობება ყველა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს.

ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა შიდა გამოკითხვები ტარდება ციფრული მეთოდით, რაც აძლევს უნივერსიტეტს საშუალებას უმოკლეს დროში ჩაატაროს ფართო ფორმატის შიდა/გარე კვლევები, რაც თავის მხრივ ეხმარება ადმინისტრაციას მოახდინოს მყისიერი რეაგირება იქ, სადაც განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ოპერატიული ჩარევა.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც

საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღოს დაფინანსება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის. ასევე პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციების მონაწილეობის ხარჯები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მასტერ კლასებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრეინინგებში მონაწილოების როგორც საორგანიზაციო ასევე ფინანსურ ხელშეწყობას, რაც დასტურდება აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიებით და ასევე ხარისხის სამსახურის მიერ აკრედიტაციის საბუთებში წარმოდგენილი დოკუმენტებით (ტრეინინგების ამსახველი ფოტო ანგარიში, ტრენინგების პრეზენტაციები და დოკუმენტები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან; ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება; ○ „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის) https://www.seu.edu.ge/ka/554/; https://www.seu.edu.ge/en/554/. ○ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები https://www.seu.edu.ge/ka/547/; https://www.seu.edu.ge/en/547/. ○ დანართი N8 - საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუები პროგრამის პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია უახლესი საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სერვისების პროგრამა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ირჩევენ საგნებს, ეცნობიან სილაბუსებს, წერენ გამოცდებს, ეცნობიან ქულებს, ეკონტაქტებიან ლექტორებსა და ადმინისტრაციას, იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში და უბრალოდ იღებენ მათთვის საჭირო რაიმე სახის ნებისმიერ ინფორმაციას თუ დოკუმენტაციას, სრულიად პასუხობს თანამედრო კიბერუსაფრთხოების სტანდარტებსა და ტექნიკურ სხვა გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული სერვისების პროგრამის გამართულად და უწყვეტად მუშაობას. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდვური ასევე ელექტრონული წიგნების ფონდი შესაბამისი ელექტრონული ბაზით, და ელექტრონული კატალოგით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კურსის სილაბუსში მოცემული ყველა ლიტერატურა დისტანციურად, ე.წ. "საუნივერსიტეტო VPN"-ის გამოყენებით. ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ბიზნეს გამოცემები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს ლიტერატურას და ე:გ „ქეისებს" პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები: აკრედიტაციის თვითშეფასების გუნდთან, აიტი განყოფილებასთან; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები: სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და შემოწმება შერჩევითი მეთოდით; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტში კონსოლიდირებულია თანხები როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის, ასევე სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილებისათვის. რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის ჩართულობაში საერთაშორისო კონფერენციებში, სტუდენტების ჩართულობაში სხვადასხვა საერთაშორისო და ლოკალურ სიმულაციურ ბიზნეს აქტივობებში. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებისა და სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში.

პროგრამა დინამიურად განვითარებადია და უკვე პირველი აკადემიური წლის საპროგნოზო მდგომარეობით გადის ე.წ. „უზარალობის წერტილზე“. ბიუჯეტის თანახმად პირველი აკადემიური წლის განმავლობაში დაშვებულია მინიმუმ 15 სტუდენტის მიღება, იმ დაშვებით რომ საჭიროების შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობის შემთხვევაში პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილი იყოს საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტით.

პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ აღნიშნული პროგრამის ცნობადობის გასაზრდელად, პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მარკეტინგული ხარჯები, რომელიც მიმართულია სტუდენტების საჭირო ნაკადის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების დეპარტამენტი, რომლის მიზანია უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხისა და რესურსების სისტემატური შეფასება, ხარისხის მონიტორინგის სისტემის კოორდინაცია, საჭიროების შემთხვევაში რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის განვითარების დეპარტამენტი საკუთარ საქმიანობას საფუძვლად უდებს როგორც ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებულ დოკუმენტებს, ევროპული უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, ისე საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

უნივერსიტეტში პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, ამოცანები, პროცედურები, ეტაპები და ჩართული მხარეების ვალდებულებები გაწერილია დოკუმენტებში „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა“, ასევე, „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ“. აგრეთვე, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს „საგანმანათლებლო პროგამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. ზემოაღნიშნული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპს, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს დანერგილი აქვს ანგარიშვალდებულებითი სისტემა, რაც მოიაზრებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, გარე აქტორების ჩართულობასაც. ამავე მიზნით შემუშავებულია: 1. პროგრამის, სილაბუსისა და უნივერსიტეტის თვითშეფასების ფორმები შევსების ინსტრუქციით; 2. პერსონალის (აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა; 3. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და დანერგილია მონიტორინგის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; 4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა ჩართულობით) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალის მხრიდან, რომლებსაც გააჩნიათ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება, გასაუბრებისას დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მისი ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ასევე, მექანიზმების შემუშავების პროცესში მონაწილეობა. ამავე მიზნით, პროგრამის ფარგლებში ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შედეგების ანალიზი; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები; დადგენილია პროგრამის სამიზნე ნიშნულები; შემუშავებულია პროგრამის კურიკულუმის რუკა, სადაც იდენტიფიცირებულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკა სრულად არ მიყვება საუნივერსიტეტო მეთოდოლოგიას სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. კერძოდ, კურიკულუმის რუკიდან არ იკითხება თუ რომელ სწავლის შედეგს რა დონეზე (გაცნობა (I); გაღრმავება (P); განმტკიცება (M)) ასრულებს მონიშნული სასწავლო კურსი. სასურველია, პროგრამის აკადემიურმა გუნდმა კურიკულუმის რუკის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კურიკულუმის რუკაში მეტ-ნაკლებად შეინიშნება სწავლის შედეგებზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების „მექანიკური

მონიშვნის/შესაბამისობის“ ტენდენცია. მაგ., პროგრამის მესამე სწავლის შედეგზე - „განმარტავს მწვანე ეკონომიკის პრინციპებსა და მნიშვნელობას და მის დანერგვას ბიზნესის მდგრადი განვითარების პროცესში საერთაშორისო ბიზნეს ტენდენციების გათვალისწინებით.“ - კურიკულუმის რუკის მიხედვით გადის შემდეგი სასწავლო კურსები: „მაკროეკონომიკის პრინციპები“, „მენეჯმენტის პრინციპები“, „ბიზნეს ოპერაციები 1/2“, „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, „ლიდერობა“, „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“. წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე გადასახედია მათი შესაბამისობის საკითხი ზემოაღნიშნული სწავლის შედეგთან. ასევე, მე-7 სწავლის შედეგზე „აფასებს საკუთარ ცოდნას და უნარებს, რათა განსაზღვროს მომავალი სასწავლო საჭიროებები.“ გადის 18 სასწავლო კურსი. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, რათა პროგრამის კურიკულუმის მონიტორინგის მიზნით შემუშავდეს მაქსიმალურად ზუსტი კურიკულუმის რუკა. თავის მხრივ, წინამდებარე დოკუმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის შედეგების შეფასების ე.წ. რუკის შემუშავების პროცესშიც, რადგან კურიკულუმის რუკის მიხედვით იდენტიფიცირებული სავალდებულო სასწავლო კურსების მიხედვით ხდება ამა თუ იმ სწავლის შედეგის შეფასება, ხოლო თუ რუკაში მონიშნული იქნა ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც არ შეესაბამება სწავლის შედეგით გათვალისწინებულ შინაარს, ამ შემთხვევაში დიდია რისკი ვერ განხორციელდეს კონკრეტული სწავლის შედეგის ზუსტი შეფასება. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების ნათლად გაწერილი პროცედურები და მექანიზმები, რომლის მიხედვითაც ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ახორციელებს რიგ აქტივობებს პროგრამის აკადემიურ გუნდთან ერთად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა; ○ სეუ-ს პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ; ○ საგანმანათლებლო პროგამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, რათა პროგრამის კურიკულუმის მონიტორინგის მიზნით შემუშავდეს მაქსიმალურად ზუსტი კურიკულუმის რუკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამის აკადემიურმა გუნდმა კურიკულუმის რუკის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების

მეთოდოლოგიის დოკუმენტით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის პროცესებით მიღებული შეფასებების, გარე, უცხოელ და ქართველ ექსპერტთა რეკომენდაციების, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების დადგენა და გამოყენება. ზემოაღნიშნული მიზნით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შესაფასებლად გაეგზავნა უცხოელ და ქართველ ექსპერტებს. დოკუმენტურად წარმოდგენილია 5 გარე შეფასების დასკვნა. აღსანიშნავია რომ უცხოელ დარგის ექსპერტთა გარე შეფასებები მეტწილად წარმოადგენს მხარდამჭერ წერილებს და ნაკლებ ასახავს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმისა თუ სილაბუსების დეტალურ შეფასებას, ხოლო რაც შეეხება ქართველი ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, მასში დეტალურადაა ზემოაღნიშნული კომპონენტები განხილული. პროგრამის გუნდის მიერ, ძირითადად გათვალისწინებულია გარე შემფასებლების მიერ იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები, მაგ., თავისუფალ კრედიტებთან დაკავშირებით, თუმცაღა გარკვეული საკითხები კვლად საჭიროებს გაუმჯობესებას, სახელდობრ, პროგრამის კურიკულუმის რუკა, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა. აღსანიშნავია, რომ გარე შეფასებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენის მიზნით ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებში გამოიკითხა 42 რესპოდენტი.

კვლევაში აღწერილია ქართულ შრომის ბაზარზე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობები, კადრების შერჩევის კრიტერიუმები და პროცესები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე, დამსაქმებლებში ქართული უმაღლესის სასწავლებლების რეიტინგი და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ გარე შეფასების დასკვნები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო თუ კვლევითი პროცესისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, სეუ-ში

დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა თვითშეფასების ანგარიშების წარმოებისა და ასევე, მათი სალექციო ფორმატის მონიტორინგისა და დაკვირვების გზით. ამ უკანასკნელს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად. გარდა ამისა, PDCA ციკლის პირნციპების საფუძველზე შემუშავებულია და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების შემუშავების, ანალიზის, შეფასების, კურიკულუმის მონიტორინგის ეტაპებს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. ამ მიზნით, მიმდინარეობს უწყვეტი დაკვირვება შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესსა და შედეგებზე, პრაქტიკის კომპონენტზე, იქმნება სტუდენტთა პორტფოლიოები და ა.შ. ხოლო არაპირდაპირი შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების სისტემა. სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის განმახორციელებელ ლექტორებს. მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება. გარდა ამისა, შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულთა პროფილით დასაქმების მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.

პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით სემესტრულად და წლიურად მოგროვილი ინფორმაცია თავს იყრის პროგრამის თვითშეფასების ფორმაში, რომელიც ივსება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნული ფორმა მოიცავს სასწავლო კურსების თვითშეფასებებს, ამ უკანასკნელს კი კურსის პედაგოგობები ახორციელებენ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა პროგრამის თვითშეფასების შევსებული ფორმა. წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემები (გამოკითხვის შედეგები, სასწავლო კურსების თვითშეფასებები, აკადემიური მოსწრების შედეგები, პერსონალის კმაყოფილება და ა.შ.)

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამა შემუშავების პროცესში დადარდა საქართველოს და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა მომხდარიყო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის მოწვეული და აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმებსა და ჩართულია აღნიშნული პროცესის განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის თვითშეფასების ფორმა;
- სასწავლო კურსის თვითშეფასების ფორმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

○ ანალოგ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი; ○ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირება (ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თორნიკე ხოშტარია

თეა კასრაძე

ქეთევან ქავთარაძე

ქრისტინა ჩიხრაძე

მარიამ გორგოძე